

## კონფერენციის ტექნიკური დეტალები

თეზისი: ნაშრომის ძირითადი იდეებისა და საკვლევი საკითხების განსაზღვრა. მოცულობა: 1-2 გვერდი.

საკონფერენციო ნაშრომების წარმოდგენის სტანდარტები შემდეგნაირად განისაზღვრება: ენა - ქართული, ინგლისური. ფონტი: Sylfaen, შრიფტი: 12, დამორება სტრიქონებს შორის: 1.5.

გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება ნაშრომის შინაარსობრივ მხარესა და პრეზენტაციაზე დაყრდნობით. ნაშრომის კომპონენტის წილი მთლიან შეფასებაში - 60%, პრეზენტაციის - 40%.

ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	ქულა
თემის აქტუალობა	10 ქულა
ნაშრომის ძირითადი საკითხების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი	15 ქულა
ნაშრომის ორიგინალურობა, ინდივიდუალური აზროვნება	10 ქულა
ძირითადი საკითხების ლოგიკური ურთიერთმიმართება და არგუმენტირებული დასკვნა	20 ქულა
ნაშრომის სტანდარტების დაცვა	5 ქულა

1. თემის აქტუალობა გულისხმობს რამდენად მნიშვნელოვანია საკვლევი თემა, რატომ ღირს მასზე ყურადღების გამახვილება და მსჯელობა.
2. ნაშრომის ძირითადი საკითხების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი გულისხმობს: რამდენად არის გაცემული პასუხები ძირითად შეკითხვებზე, რამდენად სიღრმისეულად იცნობს სტუდენტი საკითხს და რამდენადაა მისი ინტერპრეტაციები მართებული.
3. ნაშრომის ძირითადი საკითხების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი - რამდენად ჩანს სტუდენტის დამოუკიდებელი აზროვნება და არის თუ არა ნაშრომში პლაგიატი.
4. ძირითადი საკითხების ლოგიკური ურთიერთმიმართება და არგუმენტირებული დასკვნა- ფლობს თუ არა სტუდენტი საჭირო ინფორმაციას, არის თუ არა დასკვნები ლოგიკური და თანმიმდევრული, დასაბუთებულია თუ არა დასკვნები.
5. ნაშრომის სტანდარტების დაცვა- რამდენად არის დაცული ნაშრომის წინასწარ განსაზღვრული სტანდარტები.

პრეზენტაციის ნაწილი მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

კრიტერიუმი	ქულა
პრეზენტაციის ვერბალური მხარე	10 ქულა
პრეზენტაციის ტექნიკური მხარე	10 ქულა
პრეზენტაციის ურთიერთმიმართება ნაშრომთან	10 ქულა
დასმულ შეკითხვებზე პასუხის სიზუსტე და სიღრმისეულობა	10 ქულა

1. პრეზენტაციის ვერბალური მხარე- რამდენად ამყარებს სტუდენტი კონტაქტს აუდიტორიასთან, რამდენად შეუძლია აუდიტორიის ყურადღების გამახვილება ნაშრომის თემატიკაზე და იყენებს თუ არა ადეკვატურად ქესტიკულაციას.

2. პრეზენტაციის ტექნიკური მხარე-პრეზენტაციის გაფორმება და დიზაინის მნიშვნელობა, წარმოდგენილია: დიაგრამები, გრაფიკები და სხვა თვალსაჩინოებები, გადასვლები საკითხებს შორის გამართულია.

3. პრეზენტაციის ურთიერთმიმართება ნაშრომთან-პრეზენტაცია შეესაბამება ნაშრომს, შინაარსი არის ნათლად და ლაკონურად ჩამოყალიბებული.

4. დასმულ შეკითხვებზე პასუხის სიზუსტე და სიღრმისეულობა - სტუდენტი სწორად პასუხობს ყველა დასმულ შეკითხვას და მისი პასუხები დამაჯერებელი და არგუმენტირებულია.